



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

16

ჯავახეთი – მთავარი ტანდენციაზის მიმოსილვა

ეკატერინა მეტრეველი



ექსპერტის აზრი

2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ეკატერინე მეტრეველი

ჯავახეთი – მთავარი ტენდენციების მიმოხილვა

16

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6281-0

ჯავახეთი – მთავარი ტენდენციების მიმოხილვა*

შესავალი

წინამდებარე სტატია ეყრდნობა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც 2002 წლიდან მოყოლებული ტარდება ჯავახეთის რეგიონის ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში და მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას.

ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სომხეთისა და თურქეთის საზღვრის გასწვრივ, მთიან ზეგანზე. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ჯავახეთი შედის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს.

ჯავახეთის იზოლირებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისმა ეთნიკურმა სურათმა, იქ არსებულმა რუსულმა სამხედრო ბაზამ და დიდი ხნის განმავლობაში დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის სიმწირემ განაპირობა ამ კუთხის უფრო ძლიერი კულტურული კავშირი სომხეთთან, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებთან. ჯავახეთის ეკონომიკას უმთავრესად სოფლის მეურნეობა განსაზღვრავს. წლების განმავლობაში რეგიონში ძირითადი შემოსავლის წყარო იყო რუსული სამხედრო ბაზა, რომელიც 2007 წელს გადაეცა საქართველოს. ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკური სომეხია. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ლაპარაკობს ქართულად, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბოლო ხანს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჯავახეთში ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო და სოციალური მომსახურების კუთხით განხორციელებული საქმიანობა ჯავახეთის იზოლაციის გადალახვასა და ამ მხარის ინტეგრირების ხელშეწყობას ემსახურება.

* წინამდებარე სტატია არის შემოკლებული ვერსია ეკა მეტრეველისა და ჯონათან კულიკის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევისა „ჯავახეთის სოციალური ურთიერთობები და მმართველობა“ („Social Relations and Governance in Javakheti, Georgia“, Eka Metreveli and Jonathan Kulick. Initiative for Peacebuilding 2009).

ჯავახეთში არსებული ძირითადი ტენდენციების მიმოხილვა

პოლიტიკური საზოგადოება

1990 წელს კანონმა მოქალაქეობის შესახებ ყველას, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კანონის ფარგლებში ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.¹ ინდივიდის წარმომავლობასა თუ სახელმწიფო ენის ცოდნას ამ პროცესზე არ უმოქმედია, რაც საქართველოს განასხვავებს ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნისგან, სადაც სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელი პირობა იყო მოქალაქეობის მისაღებად. მიუხედავად ამისა, ქართული სამოქალაქო თვითშეგნებისა და პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბება მაინც დარჩა გამონწვევად, რომელიც ვერ გასცდა საბჭოთა სტერეოტიპების ჩარჩოებს და დღემდე ხშირია ეროვნების გაიგივება ეთნიკურ წარმომავლობასთან.

1999 წელს საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება დაეცვა ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები.² 2006 წელს საქართველომ მოახდინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩოკონვენციის რატიფიცირება და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ წარმოადგინა ორი ანგარიში – 2007³ და 2012⁴ წლებში. ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს ასევე აკისრია ვალდებულება, ხელი მოაწეროს ევროპულ ქარტიას რეგიონალური და უმცირესობების ენების შესახებ და მოახდინოს მისი რატიფიცირება. მაგრამ ქარტიასთან დაკავშირებით საქართველოში აზრთა სხვადასხვაობაა. გავრცელებულია აზრი, რომ უმცირესობათა ენების აღიარებამ, რომელიც გამოიწვევს განსხვავებათა ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზაციას, შეიძლება ხელი შეუშალოს უმცირესობათა ინტეგრაციას და პირიქით, უკან დახიოს ამ მხრივ უკვე მიღწეული წარმატებები. დღესდღეობით ქარტიასთან დაკავშირებით კონსენსუსი საქართველოს არც პოლიტიკურ და არც საექსპერტო წრეებში არ არსებობს.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩოკონვენციასთან დაკავშირებით წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2009 წელს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიღება. ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს 5-წლის

განმავლობაში და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია და კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროგრამებს კონცეფციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით. უმცირესობათა შესახებ ახალი კანონის მიღება არ მომხდარა და ეს სტრატეგია შესწორებების სახით აისახა არსებულ საკანონმდებლო აქტებში. ამასთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახალქალაქში გახსნა თავისი რეგიონალური წარმომადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი თემის წარმომადგენელი. ამჟამად სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამიზნე ჯგუფებთან ერთად მუშაობს სამომავლო სამუშაო სფეროების გამოსაკვეთად.

ენა და განათლება

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეფერხება ერთიანი პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე არის სახელმწიფო ენის არცოდნა. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის აქამდე არსებული მიდგომით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში აუცილებელია ქართული ენის სწავლება და ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში ქართული ენის გამოყენების დამკვიდრება. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის (1999) მიხედვით, ადმინისტრაციული საქმისწარმოება უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე, ხოლო კანონი საჯარო სამსახურის შესახებ (1998) მოითხოვს, რომ საჯარო სექტორში ყველა დასაქმებულმა იცოდეს ქართული ენა. კანონის აღსრულება ჯავახეთში შეუძლებელი აღმოჩნდა და მისი გატარება მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა. მაგალითად, სასამართლოში მოხერხდა ორენოვანი საჯარო მოხელეების აყვანა, მუნიციპალიტეტებს კი სამუშაოდ ასეთი თანამშრომლების მიღებისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ.

2004 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავების მიმართულებით. ეუთომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა წამოიწყეს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო განათლების მთელი რიგი პროგრამების მხარდაჭერა, რაც შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაულოცეს. განათლებისა

და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სახელმძღვანელოები და დაიწყო მუშაობა უმცირესობათა სკოლებში ორენოვანი სწავლების სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად. მართალია, ენის სწავლების პროგრამები მაინცდამაინც გამართულად ვერ მუშაობდა, ვერ მოხდა სასურველი შედეგის მიღწევა, გამოიკვეთა კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირე, დაფინანსება იყო არასაკმარისი, ხოლო სასწავლო მეთოდოლოგიები – არასათანადო, მაგრამ ამ წამოწყებებმა მაინც სასიკეთოდ შეცვალეს ქართული ენის მიმართ დამოკიდებულება. ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობა გაცილებით უფრო მონდომებულია შეისწავლოს ქართული ენა, მაგრამ მარტო ქართული ენის პროგრამების განხორციელება არაფერია, თუკი მოსახლეობის მოტივაციას სამუშაო შესაძლებლობების პერსპექტივა არ გაამყარებს.⁵

ეთნიკური უმცირესობებისა და ჯავახეთის სომხებისათვის ასევე მნიშვნელოვანი საკითხია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. 2004 წლის უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ ეროვნულ გამოცდებში სხვა საგნებთან ერთად შედის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. ამის გამო იყო, რომ 2005 წელს, როდესაც ერთიანი ეროვნული გამოცდები პირველად ჩატარდა, ამ გამოცდებში ეთნიკურად სომეხი სკოლადამთავრებულების ძალიან მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ ეროვნული გამოცდების სისტემაში შესწორებები შევიდა და დღევანდელმა ე.წ. „1+4“⁶-მა გაზარდა აბიტურიენტების შესაძლებლობა, მოხვდნენ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, რადგან უნარ-ჩვევების ტესტს თავის მშობლიურ ენაზე აბარებენ და აუცილებელი მინიმუმის გადალახვის შემთხვევაში საშუალება ეძლევათ გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც პირველი სასწავლო წელი ეთმობა ქართული ენის შესწავლას, დანარჩენი ოთხი კი – არჩეულ სპეციალობას.⁷

პოლიტიკური დაპირისპირება

1990-იანი წლების დასაწყისიდან ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდა ჯავახეთს. რეგიონი ნახევრად გასამხედროებული ადგილობრივი დაჯგუფების – „ჯავახკის“ – ასპარეზად იყო ქცეული. თანდათანობით ცენტრალურმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის მიერ დანიშნული გავლენიანი გუბერნატორის მეშვეობით შეძლო რეგიონში კონტროლის დამყარება

ადგილობრივი ძალაუფლების მქონე პირებთან თანამშრომლობითა და მათი ერთმანეთთან დაპირისპირებით, შესთავაზა რა მათ მომგებიანი სახელისუფლებო თანამდებობები რეგიონში თუ დეპუტატების მანდატები თბილისში, რის შედეგადაც ადგილობრივი ავტორიტეტები პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტად ჩამოყალიბდნენ.⁸ მართალია, დღეისათვის „ჯავახკი“ დასუსტებულია და თბილისსაც მეტი ძალაუფლება აქვს, მაგრამ ადგილობრივი ელიტის სტრუქტურასა და ინტერესებს მაინც ენევა ანგარიში.

ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებში ჯავახეთის სომხები ყოველთვის არიან წარმოდგენილი მმართველი პარტიის სიებში. 1999-2004 წწ-ის მოწვევის პარლამენტის წევრები შედიოდნენ „მოქალაქეთა კავშირში“, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ ადვილად გადაინაცვლეს ნაციონალურ მოძრაობაში და აღმოჩნდნენ 2004-2008 წწ-ის მოწვევის პარლამენტში. ეს ტრადიცია 2012 წლის არჩევნებშიც გაგრძელდა. ნინოწმინდის მაჟორიტარმა ნაციონალური მოძრაობის ფრაქცია ამჯერად დამოუკიდებელი დეპუტატობის სასარგებლოდ დატოვა. უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატები ზოგადად არ გამოირჩევიან აქტიურობით, არ წარმოადგენენ საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებს, რამდენადაც არც დებატებში იღებენ მონაწილეობას და არც სიტყვით გამოდიან. ამ პასიურობას კი ხშირად ქართული ენის ცუდად ცოდნით ხსნიან.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები და, მათ შორის, ჯავახეთიც არჩევნებში ხმას ყოველთვის ძალაუფლების მქონე პარტიას აძლევდნენ. თითქმის სრული მხარდაჭერა ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს და „მოქალაქეთა კავშირს“, მსგავსი ვითარება იყო მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 76,54 პროცენტი მიიღო ახალქალაქში, ხოლო 79,59 პროცენტი – ნინოწმინდაში; შესაბამისად – 21,29 პროცენტი და 17,13 პროცენტი – ქართულმა ოცნებამ.⁹

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანია საკმაოდ უღიმღამოდ მიმდინარეობს. 2008 წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ნინოწმინდის რაიონიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი და მხოლოდ მას ჰქონდა საარჩევნო შტაბი. ახალქალაქში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დარეგისტრირებული 12 პოლიტიკური პარტიიდან, მხოლოდ ორ ოპოზიციურ პარტიას – ლეიბორისტულ პარტიასა და ქრისტიან-დემოკრატებს

ჰქონდათ გახსნილი საარჩევნო შტაბები, თუმცა არც ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული საკითხები ჰქონიათ თავიანთ პროგრამებში და არც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ჩაურთავთ თავიანთ პარტიულ სიებში.¹⁰ რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია ქართული ოცნების საარჩევნო შტაბი, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მუშაობდა რეგიონში, ჯავახეთში გამარჯვებული ისევ მმართველი პარტიის კანდიდატები გახდნენ. როგორც ნინოწმინდის, ისე ახალქალაქის მაჟორიტარებმა ფაქტობრივად საყოველთაო გამარჯვება მოიპოვეს. მაჟორიტარმა დეპუტატმა ახალქალაქიდან მიიღო 77,7 პროცენტი, ხოლო ნინოწმინდიდან – 83,57 პროცენტი.¹¹

კერძო ბიზნესი და ინფრასტრუქტურული პროექტები

ჯავახეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და იქ რუსული სამხედრო ბაზის არსებობამ წლების განმავლობაში ამ რეგიონის ქვეყნის სხვა ნაწილებისაგან ეკონომიკური იზოლაცია და საჯარო ინფრასტრუქტურის სიმწირე განაპირობა. ყოველივე ამან, კორუმპირებულ საგზაო პოლიციასთან და ცუდ საგზაო ინფრასტრუქტურასთან ერთად, თითქმის შეუძლებელი გახადა, რომ ჯავახეთის მოსახლეობას თავისი მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქტები ძირითად ბაზრამდე ჩაეტანა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის ძლიერად დამოკიდებულებას რუსულ სამხედრო ბაზაზე.

ბოლო წლებში ვითარება შეიცვალა, რაც განაპირობა სამანქანო გზის რეაბილიტაციამ როგორც უშუალოდ რეგიონში, ისე ქვემო ქართლის გავლით, ასევე – ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობამ და 2007 წელს რუსული სამხედრო ბაზის საქართველოსთვის გადაცემამ. ამ ყველაფრის შემდეგ შესაძლებელი გახდა, რომ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარი ჯავახეთის ფარგლებს გარეთ მოეძებნათ. რეგიონში სხვადასხვა კომერციული ბანკის ფილიალების გახსნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის ეკონომიკურ გააქტიურებას და ინტეგრაციას.

2014 წელსაა დაგეგმილი ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზის დასრულება, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო სისტემებს ერთმანეთს დაუკავშირებს. პროექტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირველ წელს რკინიგზა გაატარებს 2-3 მლნ. ტონა ტვირთს, რაც თანდათანობით 8 მლნ. ტონ-

ნამდევ გაიზრდება. ეს გათვლები აუცილებლად იმოქმედებს მთლიანად საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელოვანების გაზრდაზე და განსაკუთრებით დაეხმარება ჯავახეთის ეკონომიკურ განვითარებას.¹²

მასმედია და სამოქალაქო საზოგადოება

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ყველა რეგიონი და, მათ შორის, ჯავახეთიც განიცდიან ინფორმაციის სიმცირეს. საკმაოდ შეზღუდულია ცენტრიდან მიწოდებული ინფორმაცია. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ 2013 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტების 82,9 პროცენტის თანახმად, მათი ინფორმაციის ძირითადი წყაროა ნათესავები და მეგობრები, 76,1 პროცენტისთვის – სომხური სატელევიზიო არხები, ხოლო რუსული ტელევიზია – 59,3 პროცენტისთვის. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ინფორმაციას იღებს მხოლოდ 24,6 პროცენტი.¹³

ჯავახეთში არსებობს ორი ადგილობრივი ტელეკომპანია, ერთი – ნინოწმინდაში და ერთიც – ახალქალაქში. ასევე შესაძლებელია სომხური, რუსული და ქართული არხების (საზოგადოებრივი მაუწყებლის და „იმედის“) დაჭერა. „იმედზე“ თითქმის არ არის არაქართულენოვანი გადაცემები, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ახალი ამბები დღეში ორჯერ გადის. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეწყდა რუსულენოვანი არხ ПИК-ის მაუწყებლობა, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა ინფორმაციის მიწოდება ჯავახეთში.

ჯავახეთის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო ხელმისაწვდომია რუსული ახალი ამბების სააგენტო „რეგნუმის“ საშუალებით, რომელიც სანდოობით არ გამოირჩევა და მკვეთრად ანტიქართულ პოზიციას აშუქებს.

ჯავახეთში დარეგისტრირებულია 90-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმეა აქტიური და მხოლოდ რამდენიმეს აქვს გავლენა შიდა რეგიონულ განვითარებაზე. უმეტესობა დაფუძნდა სხვადასხვა პროექტის შედეგად, ფინანსდებოდა დონორების მიერ და ამდენად, არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. 2013 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა უკიდურესად დაბალია არჩევნებში მონაწილეთა მაღალ პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით.

ბელთან – 53 პროცენტთან შედარებით.¹⁴

რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშეები 1990-იანი წლებიდან იყვნენ „ჯავახკი“ და „ვირქი“, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდნენ „გაერთიანებული ჯავახკი“ და „ჯავახკის ახალგაზრდული სპორტული კავშირი“. „ჯავახკმა“, რომელიც იყო უკიდურესად ტენდენციური, ბოლო ხანებში დაკარგა მნიშვნელობა. „ვირქი“ ერთკაციანი ორგანიზაციაა, მისი ლიდერი, დავით რასტაკიანი, ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც უარი მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან დაერეგისტრირებინა „ვირქი“ პოლიტიკურ პარტიად. „გაერთიანებული ჯავახკი“ და „ჯავახკის ახალგაზრდული სპორტული კავშირიც“ ცნობილი შედარებით რადიკალური პოზიციებითა და ნაციონალისტური გეგმებით გახდნენ. „გაერთიანებულ ჯავახკში“, რომელიც დაფუძნდა ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის საპროტესტოდ, გაერთიანდა რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის „ჯავახკის ახალგაზრდული სპორტული კავშირიც“, რომლის ყველაზე რადიკალური წევრებიც, მათ შორის ვაჰან ჩახალიანიც, იარაღის არალეგალურად შენახვის გამო 2008 წლის ზაფხულში დააკავეს. ჩახალიანი 2013 წლის იანვარში ამნისტიის შედეგად გაათავისუფლეს.

გარე მოთამაშეები და მოქალაქეობის საკითხები

ოფიციალური ერევანი ჯავახეთთან დაკავშირებით თავშეკავებითა და ფრთხილად იქცევა და ამ რეგიონის მიმართ არანაირ ირიდენტისტულ მისწრაფებებს არ ამჟღავნებს და არც იმ არეულ 1990-იან წლებში გამოუმჟღავნებია, როდესაც ჯავახეთიდან ბევრი სომეხი იღებდა მონაწილეობას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. სომხეთის მთავრობა ხშირად გაუკრიტიკებიათ სომხურ ორგანიზაციებს ჯავახეთის სომხებთან დაკავშირებული არააქტიური და თითქოს გულგრილი დამოკიდებულებების გამო. საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით ჯავახეთის ემიგრანტებისა, საკმაოდ მგრძობიარეა ჯავახეთის პრობლემებთან დაკავშირებით და მათი ორგანიზაციები მიმართავენ ისეთ ღონისძიებებს, რაც რეგიონში სომხური იდენტობის შენარჩუნება-განვითარებას უწყობს ხელს. სომხური ორგანიზაციების განცხადებები თუ პოლიტიკური მეცნიერებების სომეხი წარმომადგენლები ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს ხშირად გაზვიადებულად გადმოსცემენ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებასაც კი იწვევს.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, განსაკუთ-

რებით მისი სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან, განაპირობებს ჯავახეთის სომხების მკვეთრად უარყოფით განწყობას საქართველო-რუსეთის დაძაბულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ასევე მათ „ფრთხილ“ დამოკიდებულებას საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან.¹⁵

რუსეთის 62 სამხედრო ბაზა ახალქალაქში ბოლომდე, 2007 წელს მის დახურვამდე, ახდენდა გავლენას ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებზე. რუსული ბაზა იყო რეგიონის ძირითადი დამსაქმებელი, ასევე ხელს უწყობდა მჭიდრო სოციალურ თუ ეკონომიკურ კავშირებს რუსეთთან. ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო ბაზაზე მომუშავე ადგილობრივი ეთნიკური სომეხი მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. ბაზა იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს მთავრობის ძალისხმევას ჯავახეთის საქართველოსთან ინტეგრაციის საქმეში და გამოიყენებოდა პოლიტიკური ზენოლის იარაღად ჯავახეთში რადიკალური ელემენტების სეპარატისტული მოთხოვნების მხარდასაჭერად. როდესაც რუსეთი იძულებული გახდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების თანახმად დაენყო ბაზის გაყვანის ღონისძიებები, ესეც ახალქალაქში საპროტესტო გამოსვლების მობილიზებისათვის გამოიყენეს.¹⁶

ბაზის გაყვანის შემდეგ რეგიონში შემცირდა რუსეთის როლი, თუმცა სრულიად არ გამქრალა. ბევრი ადგილობრივი სეზონურად მიდის რუსეთის ფედერაციაში სამუშაოდ. ქართულ-რუსული ურთიერთობების გართულებამ, განსაკუთრებით საზღვრის ჩაკეტვამ რუსეთის მხრიდან და ვიზებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, გაართულა რუსეთში წასვლა. რუსეთში გამგზავრების გასაადვილებლად ჯავახეთის სომხები სომხეთის მოქალაქეობას იღებენ, რაც მათ რუსეთში უვიზოდ წასვლის საშუალებას აძლევს. მოქალაქეობის შესახებ სომხეთის კანონის 2007 წლის შესწორებების თანახმად, გამარტივდა პირობები, რომლის საფუძველზეც მოქალაქეობა ენიჭება იმ ეთნიკურ სომხებს, რომლებიც სომხეთში არ არიან დაბადებული. ამრიგად, ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები სომხეთის მოქალაქეობას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იღებენ. არ არსებობს ზუსტი მონაცემები, რამდენმა ეთნიკურმა სომეხმა ჯავახეთიდან მიიღო სომხეთის მოქალაქეობა, რადგან საქართველო-სომხეთს არა აქვთ შესაბამისი შეთანხმება ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ დინამიკა ამკარად მზარდია. სომხეთის მოქალაქეობა საშუალებას აძ-

ლევს ადგილობრივებს ნავიდნენ რუსეთში სომხეთის გავლით რაიმე გართულების გარეშე, დაინყონ მუშაობა თუ მოინახულონ იქ მომუშავე ოჯახის წევრები. სომხეთის სავიზო რეჟიმი საქართველოსთვის რამდენიმე პრობლემას ქმნის. პირველი – საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ არ იძლევა ორმაგი მოქალაქეობის ნებართვას, თუკი არ იქნება ამაზე პრეზიდენტის ბრძანებულება, რაც ნაკლებსავარაუდოა გამოყენებული იყოს მასობრივად ერთი რეგიონის წარმომადგენლებისთვის. საქართველოში მოქალაქეებმა უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, თუკი უნდათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, ან უნდა მოითხოვონ ორმაგი მოქალაქეობა; მეორე – 2008 წლის ომის დროს მიღებულმა გამოცდილებამ საქართველოში, ასევე უკრაინის ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მოქალაქეობის საკითხი შეიძლება გამოყენებული იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

დასკვნა

მართალია, საქართველოს ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა უმცირესობების საკითხები, განსაკუთრებით კი ჯავახეთში მცხოვრები სომხური თემის საჭიროებები, და ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლაც შეინიშნება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი.

არსებული დემოკრატიული მმართველობის სტრუქტურები არ უზრუნველყოფს მოქალაქეების სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის მართვის პროცესებში. უმცირესობები არ არიან სათანადოდ წარმოდგენილი ცენტრალურ სახელმწიფო აპარატში, არ არის დამკვიდრებული საჯარო-კერძო დიალოგის კულტურა და არც საზოგადოებაა ჩართული მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების განხილვაში.

საქართველოში ჩატარებულ საყოველთაო და ადგილობრივ არჩევნებში უმცირესობათა მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, პარტიულ სიებში მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვედბოდით უმცირესობების წარმომადგენლებს, ძირითადად კი პარტიების უმეტესობას თავიანთ პროგრამებში უმცირესობების საკითხები შეტანილი არ აქვთ. უმცირესობები ხმას ყოველთვის ძალაუფლების მქონე პარტიას აძლევდნენ, რაც დანახული იყო, როგორც სახელმწიფოს მიმართ ლოიალობის გამოხატულება – სამოქალაქო ვალი. მართალია, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პარლამენტის წევრები ჯავახეთიდან დიდად არ აქტიურობენ თავიანთი რეგიონის საჭიროე-

ბებზე ყურადღების გასამახვილებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ალტერნატივა წლების განმავლობაში არ ჰყოლიათ.

ჯავახეთში გავლენიანი ფიგურები არიან დეპუტატები, გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და პოლიციის უფროსები და მოსახლეობაც მნიშვნელოვანწილად მათზეა დამოკიდებული. დემოკრატიის განვითარებისა და მოსახლეობის რამდენიმე ავტორიტეტზე დამოკიდებულების შემცირებისათვის საჭიროა გაჩნდეს დასაქმებისა და ბიზნესის განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობები. ამისათვის აუცილებელია ჯავახეთის ეკონომიკურ თუ დემოკრატიულ განვითარებაზე მზრუნველმა დონორებმა გააფართოვონ და შეცვალონ თავიანთი ბენეფიციარების წრე, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას რეგიონში.

ჯავახეთში საგანმანათლებლო მიზნები ძირითადად ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებს. მართალია, ენა არის ინტეგრაციის გაღრმავების მთავარი ფაქტორი, მაგრამ აუცილებელია სამოქალაქო განათლების პროგრამების შეტანაც, რაც მოქალაქეებს გააცნობს კარგი მმართველობისა და პოლიტიკური სისტემის მოქმედების მექანიზმებს. ძალიან მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ჯავახეთის მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის გავრცელების მხარდაჭერა და ეს ძალისხმევა წარმართოს ლოგიკურად და კოორდინირებულად.

ჯავახეთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა. განსაკუთრებული დახმარებაა საჭირო რეგიონული მედიის გასაძლიერებლად; ვფიქრობთ, პროექტები, მიმართული შესაძლებლობების ზრდისაკენ, ხელს შეუწყობს ობიექტური, დამოუკიდებელი და სამართლიანი ინფორმაციის გავრცელება-მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1 Eka Metreveli and Jonathan Kulick, *Social Relations and Governance in Javakheti*, Georgia, April 2009.

2 იქვე.

3 www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_fcnmdocs/PDF_1st_SR_Georgia_en.pdf

4 იქვე.

5 Eka Metreveli and Jonathan Kulick, 2009.

6 სტუდენტები, სანამ შეუდგებიან ჩვეულებრივ საბაკალავრიატო პროგრამას, პირველ სასწავლო წელს მხოლოდ ქართულ ენას სწავლობენ.

7 2010 წელს 124 ეთნიკურად სომეხი სკოლადამთავრებულიდან 102 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში; 2011-ში – 156-დან – 127; 2012-ში – 157-დან – 132; 2013-ში – 135-დან – 103.

8 იხ.: Hedvig Lohm, 'Dukhobors in Georgia: A Study of the Issue of Land Ownership and Inter-Ethnic Relations in Ninotsminda Rayon (Samtskhe-Javakheti),' Tbilisi: ECMI, 2006; Ekaterine Metreveli, *The Dynamics of "Frozen Tension" – The Case of Javakheti*, GFSIS, Tbilisi, 2004; Eka Metreveli and Jonathan Kulick, *Social Relations and Governance in Javakheti*, Georgia, April 2009.

9 www.cec.gov.ge

10 Eka Metreveli and Jonathan Kulick, 2009.

11 www.cec.gov.ge

12 Владимир Папава, Железная дорога Карс-Ахалкалаки-Тбилиси-Баку и развитие Джавахети. Джавахети: Вызовы и Перспективы. Тбилиси, 2013.

13 Опрос населения Джавахети «Барометр 2013» Тамара Абашидзе, Ирина Жвания, Анастасия Китиашвили. Джавахети: Вызовы и Перспективы. Тбилиси, 2013.

14 იქვე.

15 Eka Metreveli and Jonathan Kulick, 2009.

16 იქვე.